ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 11

ქ. თეთრიწყარო 2020 წ.

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ”შემსყიდველი”) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ქორიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „Green line” (შემდგომში ”მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის იონა შერაზადიშვილის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის №675 განკარგულება).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ” (შემდგომში - ”ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

1.2. ”ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. ”დღე” , ”კვირა”, ”თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ”შემსყიდველი” - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ”მიმწოდებელი”- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ”მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის /71300000-CPV/ შესყიდვა, დანართი #1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 260 00,00 (ოცდაექვსი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო: 100% სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებისა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის (აღნიშნული დასკვნ(ებ)ის ღირებულება უნდა დაფაროს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით) წარმოდგენის შემდეგ, (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”, მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას), გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახო დოკუმენტების დადასტურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

5.1.შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2.შემსყიდველი ვალდებულია:

უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 12 მარტის ჩათვლით უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

6.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში - კი სახელშეკრულებო ღირებულების 20% ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

7. მიღება - ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტების მიღება განხორციელდება, მომსახურების დასრულებისა და დამადასტურებელი დოკუმენტაციების წარმოდგენის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

8.2 გაწეული მომსახურების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირები აფიქსირებენ ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.6. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს - მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

14. რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22

"მიმწოდებელი".

შპს Green Line
ქ.თბილისი, ანტონ კათალიკოსის N34
ს/კოდი 404398889
ა/ა GE91TB7919736080100001
ს/ს „თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22

გიორგი ქორიძე

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2020.01.22 13:53:27 +04'00'

_____

მუნიციპალიტეტის მერი

იონა შერაზადიშვილი

_____

შპს Green Line -ის დირექტორი

Iona Sherazadishvili
Digitally signed by Iona Sherazadishvili
DN: cn=Iona Sherazadishvili, serialNumber=01017039605, o=Citizen, c=GE
Date: 2020.01.29 13:35:43 +04'00'

ტექნიკური დავალება

ქ. თეთრიწყაროს N2 საჯარო სკოლა

1. ბუნებრივ აირზე ცენტრალური გათბობის მოწყობა
2. საქვაბის შენობის მშენებლობა
3. გენერატორის შეძენა/მოწყობა.

სოფ. კოდის საჯარო სკოლა

1. სველი წერტილების მოწყობა/მიშენება.
2. შენობის ფასადის რეაბილიტაცია.
3. ბუნებრივ აირზე მომუშავე ქვაბის მოწყობა(შეცვლა).
4. საკლასო ოთახების კარებების შეცვლა(MDF-ით).

სოფ. აბელიანის საჯარო სკოლა

1. სახურავისა და ჭერის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია.
2. კარ-ფანჯრების შეცვლა შენობის ნაწილში.
3. საკლასო ოთახების სრული რეაბილიტაცია.
4. ელ. გაყვანილობის და განათების მონტაჟი.
5. სველი წერტილის მოწყობა შენობაში.
6. ადაპტირებული შესასვლელის მოწყობა.
7. დერეფნისა და კიბის უჯრედის რეაბილიტაცია.

სოფ. წინწყაროს საჯარო სკოლა

1. საკლასო ოთახების და დერეფნის რეაბილიტაცია.
2. ელ. გაყვანილობის და განათების მონტაჟი.
3. საკლასო ოთახების კარებების შეცვლა(MDF-ით).

დაბა მანგლისის საჯარო სკოლა

1. საკლასო ოთახების კარებების შეცვლა(MDF-ით).
2. შენობაში შესასვლელის კიბის რაებილიტაცია, გადახურვა და ადაპტირება.

შენიშვნა:
1.საპროექტო გადაწყვეტები შესრულებული უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად.
2. შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 600 000 ლარს.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

1. თავფურცელს – ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
2. პროექტის შემადგენლობას;
3. განმარტებით ბარათს;
4. მოცულობათა უწყისს;
5. არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას;
6. ტექნიკურ მაჩვენებლებს;
7. არქიტექტურულ ნაწილს სათანადო დეტალიზაციითა და ვიზუალის ჩვენებით, კერძოდ:

7.1 შენობისა და ოთახების გეგმებს სათანადო დეტალიზაციით, მასშტაბით 1:100 ან/და 1:200;

7.2 მახასიათებელ კვანძებს სათანადო დეტალიზაციით მასშტაბით 1:10 ან/და 1:20;

7.3 მახასიათებელ ჭრილებს სათანადო დეტალიზაციით მასშტაბით 1:10 ან/და 1:20;

7.4 საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის გეგმებს(სქემებს);

7.5 ცალკეულ სპეციფიკაციებს;

8. სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა გრაფიკს;
9. ხარჯთაღრიცხვას გაანგარიშებულს რესურსული მეთოდით, ყველა არსებული გადასახადების გათვალისწინებით;
10. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დადებითი საექსპორტო დასკვნის ჩათვლით. საპროექტო სახარჯტაღრიცხვო დოკუმენტაციას 5 (ხუთი) ეგზემპლიარად, ელ. ვერსიით (PDF; Excel; dwg ან Cad) ;

ასევე მუშა პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. სამუშაოების წინასწარი რესურსული სახართაღრიცხვო ღირებულების დოკუმენტაციის მომზადება ყველა არსებული გადასახადების გათვალისწინებით(საპენსიოს გარდა).
2. ხარჯთაღრიცვაში მითითებული უნდა უყოს მასალის ხარისხი და მისი განზომილებები.

შენიშვნა:

1. სხავა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნას მის წინადადებაში.
2. საპროექტო ორგანიზაციის მიერ, ობიექტის ადგილზე შესწავლით დადგინდეს ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების პროექტირებისათვის საჭირო ყველა დეტალი.
3. საპროექტო დოკუმენტაცის მიმდინარეობის პროცესში, ყველა დეტალი შეთანხმებულ იქნას მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან.

გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	გასაწევი მომსახურების დასახელება	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ღირებულება (ლარი)
	თეთრიწყარო	(ტექნიკური დავალება)	**26 000 ლარი**
4	ჯამი		**26 000 ლარი**

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი/გვარი:

ხელმოწერა: _____